საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბჟედუხი

ბჟედუხი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 4373 მ. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. კოშკებად ასვეტილი, თოვლით დაფარული ციცაბო კლდეები მწვერვალს ძნელად ასასვლელს ხდის. ასვლა მოსახერხებელია ჩრდ. მხრიდან – ადილსუს ხეობიდან კაშკატაშის მყივნარით, ხოლო სამხრ-იდან – ჭალაათისა და ლეხზირის მყინვარებიდან.

კ. ჯავრიშვილი